ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5334688

ნომერი: AR1810423

თარიღი : 12.03.2021

გაცემის თარიღი : 22.03.2021

გაცნობის თარიღი : 22.03.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვის , N 25 , (ნაკვ.8/53);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ სულავა პ/ნ 01024080499
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 9 ბ. 42

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის 12 მარტის AR1810423 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი- ისანი, მოსკოვის გამზირი N 25, (ნაკვ.8/53) ს.კ N 01.17.11.008.053 მიწის ნაკვეთზე , 29.05.2014წ. №1273984 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.11.008.053) სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპში) ცვლილების შეტანას, ახალი ობიექტის - საწყობის დამატებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან სამსახურის მიერ 29.05.2014წ. №1273984 ბრძანებით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არსებული შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციისთვი, ხოლო ამჟამად ითხოვთ 29.05.2014წ. №1273984 ბრძანებით გაცემულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და ახალი ობიექტის დაფისქირებას (მშენებლობის სახეობა: ახალი მშენებლობა; საპროექტო ობიექტი: საწყობი) სამსახური აღნიშნულ საკითხს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში (გაპში) ცვლილების შეტანის კუთხით ვერ განიხილავს და საკითხი უნდა დააყენოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოთხოვნის კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განცხადება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის კუთხით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.